საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №20

2016 წლის 27 მაისი

ქ. თბილისი

„დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №12 ბრძანებით (სსმ. ვებგვერდი, 360050000.22.023.016137, 10/05/2013) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დებულების:

1. **მე-2 მუხლს „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ყ) მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია (მარტვილის რაიონი, სოფ. ინჩხური)“.
2. **მე-3 მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ" ქვეპუნქტი:**
,,დ) ბირთვისის ბუნების ძეგლს".
3. **მე-3 მუხლის 25-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,25. მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია მართავს:

ა) ბალდის კანიონის ბუნების ძეგლს;

ბ) ონიორის ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლებს;

გ) ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლებს;

დ) მოთენას მღვიმის ბუნების ძეგლს;

ე) ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლს;

ვ) ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლს;

ზ) ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლს;

თ) მდინარე აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლს;

ი) მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლს;

კ) ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლს;

ლ) ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლს.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი — **გიგლა აგულაშვილი**